განკარგულება:**g-27. 2724271001**
თარიღი:**27/09/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 50

27 სექტემბერი 2024 წ.

ქ. თელავი

ჯარჯი ფოთოლაშვილის მიერ ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 16 აგვისტოს შემოვიდა მოქალაქე ჯარჯი ფოთოლაშვილის განცხადება (რეგისტრაციის N19/2624229116-26) რომელიც ეხება ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 53.20.31.103) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების საკითხს.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2021 წლის 24 ივნისის პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი N1 ოქმით ნაკისრი სააუქციონო პირობები სააუქციონო პირობები: „ა) მყიდველი ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე 3 წლის ვადაში ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი; ბ) შეძენილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლის მოწყობა, ხოლო დანარჩენ ფართობზე, საჭიროებიდან გამომდინარე, საპარკინგე ადგილების გამოყოფა“ ვერ შესრულდა იმის გამო, რომ საჭირო პროცედურები მოითხოვს დამატებით დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ჯარჯი ფოთოლაშვილს გაუგრძელდეს ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 53.20.31.103) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადა **1 (ერთი)** წლით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ჯარჯი ფოთოლაშვილს გაუგრძელოს ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.31.103) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების: „**ა)** მყიდველი ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე 3 წლის ვადაში ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი; **ბ)** შეძენილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლის მოწყობა, ხოლო დანარჩენ ფართობზე, საჭიროებიდან გამომდინარე, საპარკინგე ადგილების გამოყოფა“ შესრულების ვადა **1 (ერთი)** წლით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი